ქონების დაზღვევის **პირობები**

PD – 001/24 (Property Retail, #1 სტანდარტული ვორდინგი 2024 წელი)

ქონების დაზღვევის პირობები

ქ.თბილისი

1. ზოგადი დებულებები

1.1. სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (შემდგომში ”მზღვეველი”), საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დებს ხელშეკრულებას ფიზიკური პირ(ებ)ის (შემდგომში ”დამზღვევი”) ქონების დაზღვევის შესახებ.

სადაზღვევო პოლისი, დამზღვევის მიერ მოწოდებული განაცხადი და ყველა დანართი ერთად შეადგენს წინამდებარე ხელშეკრულების არსებით და შემადგენელ ნაწილს.

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. **დამზღვევი** - ფიზიკური პირი, რომელიც მითითებულია პოლისში, აფორმებს სადაზღვევო ხელშეკრულებას და იხდის შესაბამის პრემიას.

2.2. **მზღვეველი** - სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“.

2.3. **მოსარგებლე** - დამზღვევის მიერ დასახელებული და სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული პირი, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისში არ არის დასახელებული მოსარგებლე, ხელშეკრულება გაფორმებულად ითვლება დამზღვევის სასარგებლოდ.

2.4. **სადაზღვევო პოლისი** - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას და ასახავს ხელშეკრულების ძირითად პირობებს. პოლისი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, თუმცა თუ პოლისში ასახული მონაცემები წინააღმდეგობაში მოდის სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვრულ დებულებებთან, უპირატესობა პოლისს ენიჭება;

2.5. **დაზღვევის პერიოდი** - პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს დაზღვევა. კერძოდ, დაზღვევა ძალაში შედის პოლისით განსაზღვრული პირველი დღის 24 საათიდან და ძალაშია პოლისით განსაზღვრული უკანასკნელი დღის 24 საათამდე, თუ თავად სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

2.6. **სადაზღვევო შემთხვევა** - მოვლენა, რომლის დადგომისას წარმოიშვება მზღვეველის პასუხისმგებლობა გადაუხადოს დამზღვევს/მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება.

2.7. **სადაზღვევო რისკი** - მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა.

2.8. **სადაზღვევო პრემია** (შემდგომში “პრემია”) - თანხა, რომელიც ფიქსირდება სადაზღვევო პოლისში, როგორც დაზღვევის საფასური. სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები და ვადები განისაზღვრება პოლისით, ხოლო სადაზღვევო პრემიის ოდენობა დამოკიდებულია მზღვეველის მიერ აღებული რისკის ხარისხზე და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე;

2.9. **სადაზღვევო თანხა** - დამზღვევის მიერ მითითებული თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დაზღვეული საგნის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის საგნისათვის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება სადაზღვევო პოლისში; დამატებით შეიძლება დაწესდეს სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტ(ებ)ი, რაც ასევე ასახვას ჰპოვებს სადაზღვევო პოლისში;

2.10. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის მოსარგებლეს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;

2.11. **ფრანშიზა** - მიყენებული ზიანის (ზარალის) ნაწილი, რომელიც პოლისის მიხედვით მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება.შესაძლებელია სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევისათვის ინდივიდუალური ფრანშიზის განსაზღვრა;

2.12. **დაზღვევის მოქმედების არეალი** - სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორიული ფარგლები და/ან მისამართი, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა.

2.13. **დარეგულირების აქტი** - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აღიარებას და წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

2.14. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტულ თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

2.15. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული თარიღიდან სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

2.16. **ქონების დაზღვევის განაცხადი (მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით)** - დამზღვევის მიერ შევსებული და ხელმოწერილი ქონების დაზღვევის მოთხოვნა. განაცხადი წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს.

2.17. **პროპორციული ანაზღაურების პირობა** – თუ ზარალის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ქონების რეალურ/აღდგენით

ღირებულებაზე, სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება იმ პროპორციით, რა პროპორციაც არის სადაზღვევო თანხასა და რეალურ/აღდგენით ღირებულებას შორის.

3. დაზღვევის საგანი, ობიექტი

3.1. წინამდებარე პირობების საფუძველზე, დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ქონება, რომლის დეტალური ჩამონათვალი მიეთითება სადაზღვევო პოლისში/დაზღვევის განაცხადში და რომელიც იმყოფება (მდებარეობს) დაზღვევის პოლისში მითითებულ მისამართზე, თუ სხვა რამ არის გათვალისწინებული პოლისით.

3.2. თუ კონკრეტული ხელშეკრულებით/პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაზღვევას არ ექვემდებარება:

- ბანკომატები, სავაჭრო აპარატები, თვითმომსახურების ტერმინალები და სწრაფი გადახდის აპარატები;
- ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვები, ნაკეთობები;
- მონეტები, ნახატები, მარკები, ფოტოები, ქვითრები, ქანდაკებები, ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ნივთები ან სხვა სახის კოლექციები, ხელოვნების ნიმუშები, ბეწვეული და მისი ნაწარმი;
- ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
- ხელნაწერები, პროექტები, ნახაზები, ნიმუშები, გეგმები, საბუღალტრო თუ სხვა პროფ. საქმიანობის წიგნები, დავთრები, ან სხვა დოკუმენტაცია;
- მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ყალიბები და მსგავსი;
- კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ფირი, საინფორმაციო ბლოკი და ინფორმაციის სხვა მატარებლები), სხვა არამატერიალური აქტივები;
- ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები, რომელიც განკუთვნილია ელექტროენერგიის გადასაცემად და ყველა სხვა სახის ინფორმაციული კომუნიკაციისათვის, შენობის გარეთ დამონტაჟებული ანძები და ანტენები;
- ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, ნავთობ-ქიმიური რისკების მატარებელი ობიექტები;
- ასაფეთქებელი ან ფეთქებადი, ქიმიური, ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებები, თხევადი ან კომპრესირებული გაზის წარმოება, მიწოდება, შენახვა;
- მაღაროები, კარიერები, მიწისქვეშა ობიექტები;
- საქონელი, რომელიც მარაგის სახით არის დასაწყობებული შეძენიდან 1 (ერთ) წელზე მეტი ვადით;
- ცოცხალი არსებები (ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, ნარგავები, ნათესები);
- სატრანსპორტო საშუალებები მათ შორის საგზაო გამოყენებისთვის გათვალისწინებული, და სხვა სპეციალიზებული მოძრავი ტექნიკა, ორთქლმავლები, სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა, საზღვაო და საჰაერო ხომალდები და ა.შ.;
- დაზღვეულ შენობა-ნაგებობებში არსებული ქონება, რომელიც არ ეკუთვნის დამზღვევს;
- დამზღვევის მიერ ნაქირავები, იჯარით აღებული ან ნაგირავები ქონება, ასევე დამზღვევის დროებით განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა ქონება;

4. სადაზღვევო რისკები. სადაზღვევო შემთხვევა

4.1. წინამდებარე პირობებით სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს დაზღვევის მოქმედების პერიოდში, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული რისკების ხდომილებით დამდგარი ზარალი,, რის შედეგადაც დაზიანდა ან განადგურდა დაზღვეული ქონება და რომლის საფუძველზეც წარმოიშვება მზღვეველის პასუხისმგებლობა გადაუხადოს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება.

4.2. წინამდებარე პირობებით იფარება შემდეგი რისკები:

4.2.1. **კატეგორია A (ე.წ. FLEXA რისკები):**

- ხანძარი - ღია ცეცხლი, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლისათვის განკუთვნილი ადგილიდან განსხვავებულ ადგილას ან თვითნებურად გასცდა ამ ადგილს და რომლის ზემოქმედებითაც დაზღვეულ საგანზე დადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი.

ამ პირობებით, დაზღვევით არ დაიფარება ზარალი, რომელიც წარმოიქმნება დაზღვეული ქონების ცეცხლით დამუშავებისას, სითბური ან სხვაგვარი თერმული ზემოქმედების შედეგად, ქონების ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე თვითაალების შედეგად.

- კვამლით დაზიანება - ხანძრის შედეგად წარმოქმნილი კვამლის შედეგად დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება.

- აფეთქება - აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი და დამანგრეველი გამოვლინება, არამდგრადი სისტემის სწრაფი ქიმიური რეაქცია, რომლის შედეგადაც დაზღვეულ საგანზე დადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი;

- **მეხის დაცემა** - ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი და რომლის შედეგადაც დაზღვეულ საგანზე დადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი.
- **საფრენი აპარატის ან მათი ნაწილების დაცემა** - პილოტირებული საჰაერო ან კოსმოსური საფრენი აპარატის, ასევე მათი ნაწილების ვარდნა, რომლის შედეგადაც დაზღვეულ საგანზე დადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი.

4.2.2. **კატეგორია B - სტიქიური მოვლენები:**

- **შტორმი, ქარიშხალი** - ბოფორტის სკალით კლასიფიცირებული შტორმით და ქარიშხლით გამოწვეული (წინამდებარე დაზღვევის მიზნებისთვის ქარიშხალი არის 25 მ/წმ და მეტი სიჩქარის ქარი) დაზღვეული ქონების პირდაპირი ფიზიკური დაზიანება-განადგურება;
- **წყალდიდობა** - წყლის დონის უეცარი მატება, განპირობებული ძლიერი/ჯოჯისპირული/თავსხმა წვიმებით ან თოვლის ინტენსიური დნობით და ამის შედეგად მიწის იმ ნაწილის დატბორვა, რომელიც ჩვეულებრივ წყლით არ არის დაფარული, რისშედეგადაც დაზღვეულ საგანზე დადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი;
- **უხვთოვლიანობა** - თოვლის სიმძიმით გამოწვეული ზიანი; ამასთან უხვთოვლიანობით გამოწვეული ზიანი სადაზღვევო შემთხვევად მიიჩნევა და შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს თოვლის სიმძიმით გამოწვეულ ისეთ ზარალს, როდესაც მყარი ნალექის (თოვლის) საფარი ფორმირებულია 24 საათის განმავლობაში მოსული არანაკლებ 80 მმ ან მეტი მოცულობის ნალექის მიერ;
- **სეტყვა** - ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის სფერული ნაწილაკების, ან ნატეხებისაგან და რომლის ზემოქმედების შედეგადაც დაზღვეულ საგანზე დადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი.
- **მიწისძვრა** - ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის რხევა, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიადგა ფიზიკური ზიანი;
- **მეწყერი** - მიწის მასების ან ქანების ფენის მოწყვეტა და გადაადგილება მთის კალთაზე ან ფერდობზე სიმძიმის ძალის გავლენით, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიადგა ფიზიკური ზიანი;
- **ნიადაგის ჩამოშლა** - მიწის მასების სწრაფი დაღმართი მოძრაობა კლდეების ან ბორცვის მასის სიმძიმის გავლენით, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი;
- **ზვავი** - მთის ფერდობზე სწრაფად მოძრავი თოვლის მასა, რომლის ზემოქმედების შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი;

4.2.3. **კატეგორია C (წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლა)**

წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა - დაზღვეული ობიექტის ტერიტორიაზე არსებული წყალგაყვანილობის, გასათბობი, ხანძარსაწინააღმდეგო, საკანალიზაციო სისტემების უეცრად და მოულოდნელად მწყობრიდან გამოსვლა, მილებიდან სითხის გაჟონვა, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიადგა პირდაპირი ფიზიკური ზიანი;

4.2.4. **კატეგორია D (მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედება)**

- **ქურდობა ან მისი მცდელობა** - დაზღვეულ ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევით დაზღვეული ქონების ფარულ დაუფლებას ან მის მცდელობას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დაზღვევა ფარავს მხოლოდ შემთხვევებს, როდესაც არსებობს ძალისმიერი მეთოდებით შეღწევის ან შეღწევის მცდელობის აშკარა ნიშნები და ამ ქმედების შემდეგ დაკარგულია ან დაზიანებულია დაზღვეული ობიექტ(ებ)ი.
- **ძარცვა** - სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.
- **ყაჩაღობა** - თავდასხმა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.
- **ვანდალიზმი** - მოქმედება, რომელიც გულისხმობს დაზღვეული საკუთრების განზრახ, აშკარა ფიზიკურ დაზიანებას ან განადგურებას;

<u>მოცემული პირობებით არ ითვრება ეზოში ან ღია ცის ქვეშ მდებარე/დატოვებული ნებისმიერი დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზარალი.</u>

- **სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება** - ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების შეჯახება დაზღვეულ ქონებაზე, ან სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოვარდნილი ობიექტებით მიყენებული ზარალი.

<u>შენიშვნა: ამ პირობებით, დაზღვევით არ ითვრება ზარალი, რომელიც გამოწვეულია დამზღვევის ან მოსარგებლის თანამშრომელების ან ოჯახის წევრების მიერ სატრანსპორტო საშუალებების მართვისას.</u>

<u>შენიშვნა: ამ პირობებით, დაზღვევით არ ითვრება რემონტის მსვლელობის დროს, დამატებითი დეტალების დამონტაჟებისას, ჩარჩოს გამოცვლის ან შეკეთებისას მინების, ვიტრინების, სარკეების დაზიანება.</u>

ამ პირობებით, დაზღვევით არ ითვარება მინების, ვიტრინების, სარკეების დაზიანება ჩარჩოს გათუჭების ან დეფორმაციის გამო.

ამ პირობებით არ ითვარება ხელის სარკეების, მინის ჭურჭლის, გასანათებელი მოწყობილობების დაზიანება. თუ საწინააღმდეგო არ ფიქსირდება პოლისში.

მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება მინების, ვიტრინების, სარკეების გამოცვლის ხარჯები.

5. გამონაკლისები

5.1. სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება და არ ანაზღაურდება ზიანი (ზარალი) გამოწვეული შემდეგი გარემოებებით:

5.1.1. ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა საომარი მდგომარეობა), სამოქალაქო მღელვარება, ამბოხება, მანიფესტაცია, ლოკაუტი, შეიარაღებული კონფლიქტი, გაფიცვა, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, სამხედრო გადატრიალება, რევოლუცია, საბოტაჟი, დაპატიმრება/დაყადაღება, ტერორისტული აქტი, პოლიტიკური მოტივით მოქმედი ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებები;

5.1.2. კონფისკაცია, მათ შორის ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა, ჩამორთმევა, რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია, სახელმწიფო/საჯარო ორგანოების განკარგულების საფუძველზე ქონების დაზიანება/განადგურება;

5.1.3. გარემოს დაბინძურება, იონიზირებული რადიაცია, თერმობირთვული საწვავის ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული რადიოაქტიური დაბინძურება; ტოქსიკური, ფეთქებადი ან ნებისმიერი ბირთვული ნივთიერების შემცველი აირით გამოწვეული ზიანი;

5.1.4. ზიანი ან განადგურება, რომელიც გამოწვეულია ბგერითი ტალღების ზემოქმედებით;

5.1.5. ქონების ლპობით, ცვეთით, თვითაალებით, კოროზიით, ეროზიით, ჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, მაღალი ან ცვალებადი ტემპერატურით, ტენიანობით, ფერმენტაციით, აორთქლებით, წონის შემცირებით, შემადგენლობის შეცვლით, გადახურებით, გამოშრობით, ან დაზღვეული ქონების სხვა ბუნებრივი თვისებებით;

5.1.6. ბაქტერიების, პარაზიტების, მღრღნელების ან და მავნებლების მიერ მიყენებული ზიანი;

5.1.7. წყლის, მჟავების და სხვა ტიპის ორთქლის ზემოქმედებით, რომლებიც წარმოიქმნება დამზღვევის მიერ სამუშაოების წარმოების პროცესში;

5.1.8. ამ პირობებით, დაზღვევით არ ითვარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია რეზერვუარში არსებული ვაკუუმით, ან გაიშვიათებული გაზით.

5.1.9. ამ პირობებით, დაზღვევით არ ითვარება ზარალი, რომელიც მიყენებულია შიდა წვაზე მომუშავე მანქანა-დანადგარების მექანიზმების წვის კამერებში მომხდარი ატეთქებით.

5.1.10. ამ პირობებით დაზღვევით არ ითვარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობის მრიცხველში გაზის წნევის ცვლილებით.

5.1.11. სადრენაჟე სისტემების არასწორი გამოყენებით;

5.1.12. ზიანი ან დანაკარგი, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას სამშენებლო სამუშაოებით (მათ შორის საძირკველის), სტრუქტურის ცვლილებით, მიწის სამუშაოებით, შეკეთების ან რემონტის პროცესში;

5.1.13. ზიანი, რომელიც გამოწვეულია სამშენებლო, საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტით, ცუდი კონსტრუქციით, უხარისხო მასალებით ან შესრულებული სამუშაოთი, შეუსაბამო ან/და არასწორი არქიტექტურით ან/და პროექტირებით.

5.1.14. ესთეტიური ხასიათის დეფექტებით (ნაკაწრები, ლაქები, საღებავის დაზიანება და ა.შ.);

5.1.15. სახელმწიფო ან საერთო სარგებლობის გაყვანილობის დაზიანების შედეგად გამოწვეული ზიანი.

5.1.16. დაზღვეული ქონების დეფექტები და ნაკლოვანებები, რომელიც დამზღვევისათვის ცნობილი იყო დაზღვევის გაფორმებამდე.

5.1.17. წყალმომარაგების/გათბობის სისტემის არასწორი ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანი;

5.1.18. ზიანით, რომელიც მიადგა ღია ცის ქვეშ დატოვებულ ქონებას;

5.1.19. დაზღვეულ ობიექტში თოვლის, სეტყვის ან წყლის შეღწევით კარების, ფანჯრების, სახურავის ღიად დატოვების გამო; ასევე სხვა ხვრელებიდან, რომელიც გაკეთებულია წინასწარგანზრახულად, ან წარმოქმნილია სიძველით ;

5.1.20. თოვლის სიმძიმით გამოწვეული ზიანი თუ დამზღვევი ან მოსარგებლე არ მიიღებს შესაბამის ზომებს დროულად გაწმინდოს დაზღვეული ქონება თოვლისა და ყინულისგან;

5.1.21. მდინარის ნაპირისა და მიმდებარე ტერიტორიის ეროზიით, ასევე გრუნტის ხელოვნური დაწევით ან მოძრაობით;

5.1.22. ნიადაგის დაწევით, ძვრით ან სხვა ნებისმიერი გრუნტის მოძრაობით, თუ ისინი გამოწვეულია ასაფეთქებელი სამუშაოების შესრულების შედეგად, გრუნტის ამოღებით გამოქვაბულებიდან ან

კარიერებიდან, მიწის სამუშაოების ჩატარებით, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად ჩატარებული სამუშაოებით ან და სხვა ნებისმიერი არაბუნებრივი მოვლენების შედეგად;

5.1.23. სახიფათო ნარჩენების შეუსაბამო, არასათანადო შეფუთვით და შეუსაბამო ადგილას მოთავსების შედეგად წარმოქმნილი ზიანი;

5.1.24. ხანძარსაწინააღმდეგო ან დაცვის სისტემების გაუმართაობის მიზეზით დამდგარი ზიანი;

5.1.25. ელექტრონული ან ელექტრო ხელსაწყოს დანაკარგი ან ზიანი, რომელიც გამოწვეულია მეხის დაცემით (გარდა მეხის დაცემის შედეგად გამოწვეული ხანძრისა);

5.1.26. ნებისმიერი სახის მოწყობილობის ან დანადგარის ელექტროობის დაზიანებით, თუ ეს უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოწვეულია დანადგარის გაუმართაობით, მოკლე ჩართვით ან დენის ცვალებადობით. ეს გამონაკლისი არ ეხება ასეთი მოკლე ჩართვის შედეგად გამოწვეული ხანძრით ქონების დაზიანებას;

5.1.27. კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი;

5.1.28. თაღლითობა, შანტაჟი, გამოძალვა;

5.1.29. დამზღვევის (მოსარგებლის), მათი წარმომადგენლების, ან დაზღვეულ ქონებაში სადაზღვევო ინტერესის მქონე ნებისმიერი პირის განზრახი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დამდგარი ზიანი;

5.1.30. ნებისმიერი ზარალი, გამოწვეული ქონების ერთ თვეზე მეტი ხნით მეთვალყურეობის გარეშე დატოვებით;

5.1.31. ქონების უკვალო გაუჩინარებით;

5.1.32. სადაზღვევო შემთხვევის დროს ან მის შემდეგ დაზღვეული ქონების ქურდობა / ძარცვა / გატაცება;

5.1.33. ნებისმიერი არამატერიალური, არაპირდაპირი და არაქონებრივი ზიანი;

5.1.34. დაუდევრობა ან უხეში გაუფრთხილებლობა, რომელიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევასთან;

5.1.35. ზიანი, რომელიც გამოწვეულია პოლისით გათვალისწინებული რისკების გარდა, სხვა რისკებით;

5.1.36. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის დასაზღვევი ქონების შესახებ მცდარი/არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

5.1.37. დაზღვეული ქონების ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებით გადაცემა, აგეთვე დაზღვეული ქონების სასწავლო, კვლევითი ან სპორტული მიზნებით გამოყენება მზღვეველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე;

5.1.38. სადაზღვევო ობიექტზე ან მასთან კავშირში განხორციელებული არსებითი ცვლილებები, რომელთა თაობაზე მზღვეველი არ იყო ინფორმირებული, ამასთან, არსებითად მიიჩნევა (მაგრამ მოცემულით არ შემოიფარგლება) ცვლილება, რომელიც კავშირშია განაცხადში დაფიქსირებულ ინფორმაციასთან ან ნებისმიერ სხვა გარემოებასთან, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საფრთხის შეფასებისათვის;

5.1.39. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტების არ არსებობით;

5.1.40. გარემოება, რომლებიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევისათვის ან მისი წარმომადგენლისთვის და ამის შესახებ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია;

5.1.41. დაზღვეული ქონების გასხვისებას იმ შემთხვევაში, თუ გასხვისების შესახებ მზღვეველს არ მიუღია ამის შესახებ შეტყობინებინება ქონების გასხვისებიდან 3 დღის ვადაში და სადაზღვევო შემთხვევას ადგილი ქონდა მზღვეველის მიერ გასხვისების შესახებ შეტყობინების მიღებამდე;

5.1.42. ექსპლუატაციის ან მომსახურებისას დაშვებული შეცდომებით, მომსახურე პერსონალის დაუდევრობით;

5.1.43. დამზღვევის ან მესაკუთრის მიერ კანონის შესაბამისად მიღებული მიწერილობების/რეკომენდაციების/სხვა ღონისძიებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობით.

5.1.44. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.2. მზღვეველი არ გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას „დამზღვევის“/“მოსარგებლის“ მიერ ან „დამზღვევის“/“მოსარგებლის“ მონაწილეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, არასწორი/ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში;

6. სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო პრემია, ფრანშიზა

6.1. სადაზღვევო თანხა წარმოადგენს მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ მოცულობას, ლიმიტს და იგი დაფიქსირებულია სადაზღვევო პოლისში.

6.2. სადაზღვევო თანხის განსაზღვრის საფუძველია დაზღვევის ობიექტის რეალური ღირებულება (აღდგენითი ღირებულება ან შენაცვლებითი ღირებულება) სადაზღვევო პოლისის გაფორმების მომენტისათვის.

6.3. მაქსიმალური სადაზღვევო თანხა / ლიმიტი არ შეიძლება აღემატებოდეს ქონების რეალურ/აღდგენით ღირებულებას დაზღვევის ხელშეკრულების დადების თარიღისთვის. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია ქონების რეალურ/აღდგენით ღირებულებაზე, იმოქმედებს პროპორციული ანაზღაურების პირობა.

6.4. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების გზით. უნაღდო ანგარიშსწორებისას დანიშნულებაში უნდა იქნას მითითებული სადაზღვევო პოლისის ნომერი და ინვოისის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6.5. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) დღით, მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ აანაზღაუროს ამ პერიოდის გასვლის შემდგომ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
6.6. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.
6.7. ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის დამოუკიდებლად და მითითებულია სადაზღვევო პოლისში. მზღვეველის მიერ ყოველი ზარალი ანაზღაურდება ფრანშიზის თანხის გამოკლებით.

7. სადაზღვევო ანაზღაურება
7.1. ამ პირობებით, ზარალად ითვლება მატერიალური ზიანი, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას სადაზღვევო შემთხვევის შედეგად.
7.2. სადაზღვევო შემთხვევის აღმოჩენისთანავე, დამზღვევმა უნდა შეატყობინოს შემთხვევის შესახებ:
7.2.1. მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში - შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
7.2.2. აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - შესაბამის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოებს;
7.2.3. წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის შემთხვევაში - შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას;
7.3. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში, დაუკავშირდეს „მზღვეველს“ **24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2 640 640)** და მიაწოდოს სრული ინფორმაცია შემთხვევის დადგომის შესახებ. ასევე, განუხრელად დაიცვას მზღვეველის რეკომენდაციები დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით;
7.4. დაზღვეულს დაზღვეული ობიექტის მიმართ უნდა გააჩნდეს პირდაპირი ფინანსური ინტერესი;
7.5. დამზღვევი ვალდებულია შეინარჩუნოს დაზიანებული ქონება მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩნდა შემთხვევის შემდგომ; თუ აღნიშნული ქმედება მიმართული არ არის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან ზარალის შესამცირებლად (ასეთი ქმედება შეთანხმებული უნდა იყოს მზღვეველთან);
7.6. დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, დაზღვეული ქონების გადასარჩენად, ზიანის შესამცირებლად.
7.7. დამზღვევი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ზიანის გამომწვევ მიზეზთა დადგენასა და ზიანის შეფასებაში, ასევე მისცეს შესაძლებლობა მზღვეველს/მის წარმომადგენელს, დაათვალიეროს დაზიანებული ქონება ან გამოიკვლიოს დაზიანებული დაზღვეული ქონება, გამოიძიოს მიზეზები და დაადგინოს ზარალის სიდიდე.
7.8. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა შეესაბამება რეალური ზარალის ოდენობას, სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.
7.9. არცერთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას სადაზღვევო შემთხვევათა სიმრავლისა და სიდიდის მიუხედავად.
7.10. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საფუძველია:
7.10.1. ქონების სრული განადგურებისას - მისი რეალური ღირებულება (არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა), ფრანშიზის და ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ნარჩენი ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი ქონების ღირებულება); ამასთან სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია სადაზღვევო თანხა აანაზღაუროს სრულად, ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე, ამ შემთხვევაში, საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად, გადადის მზღვეველზე.
7.10.2. ქონების ნაწილობრივი დაზიანებისას - ქონების აღდგენითი ღირებულება (არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა), მისი უშუალოდ შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად საჭირო დანახარჯების მიხედვით. აღდგენითი სამუშაოებისას დანახარჯებიდან გამოიქვითება რემონტის პროცესში გამოსაცვლელი/შესაკეთებელი დეტალების, აგრეგატების და ნაწილების ცვეთა. გამოქვითვის გაანგარიშება ხდება რეალური ღირებულებიდან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღისათვის და მსგავსი ახალი ნაწილების ფასებიდან გამომდინარე;
7.11. შეკეთების/აღდგენის ხარჯები გულისხმობს:

7.11.1. შეკეთების/აღდგენისათვის აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების რეალურ ღირებულებას.
7.11.2. შესაკეთებლად/აღსადგენად გასაწევი სამუშაოების ხარჯებს.
<u>შენიშვნა: არცერთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ მოიცავს ქონების დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯებს.</u>

7.12. ქონების შეკეთების/აღდგენის ხარჯებში არ ჩაითვლება:
7.12.1. ქონების ტექნიკური ან პროფილაქტიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ღირებულება;
7.12.2. ქონების რეკონსტრუქციის, რემონტის (თუ რემონტის აუცილებლობა გამოწვეული არ არის სადაზღვევო შემთხვევით) ხარჯები. ასევე, ცალკეული ობიექტების, ნაწილების, დეტალების გაცვეთის, ტექნიკური წუნის, ამორტიზაციის გამო აუცილებელი ხარჯები.
7.12.3. ამა თუ იმ ნაწილების, დეტალების და მოწყობილოებების შეცვლის (მათი შეკეთების ნაცვლად) სამუშაოების ღირებულება, რაც გამოწვეული იყო სარემონტო სამუშაოებში მათი შეკეთებისათვის აუცილებელი ცალკეული სათადარიგო ნაწილების და დეტალების არქონით.
7.13. ანაზღაურებას ექვემდებარება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ქონების დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებული ნაგვის გატანის ხარჯები, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო თანხის 10%-ის, თუ ეს გათვალისწინებულია პოლისით;
7.14. ზარალის თანხის დადგენა ხდება დამზღვევისა და მზღვეველის მიერ.
7.15. ერთერთი მხარის მოთხოვნით, ზარალის ოდენობის დადგენა შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ამ შემთხვევაში, ექსპერტის მომსახურების ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს მისი მომწვევი მხარე.
7.16. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია მზღვეველის მიერ შედგენილი დარეგულირების აქტი - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აღიარებას. წინამდებარე პირობების საფუძველზე მზღვეველი იღებს ვალდებულებას შეადგინოს დარეგულირების აქტი ან გასცეს დასაბუთებული წერილობითი უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
7.17. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება მზღვეველის მიერ დარეგულირების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
7.18. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დამზღვევმა/მოსარგებლემ უნდა წარუდგინოს მზღვეველს:
7.18.1. საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი საბუთი განადგურებულ, დაკარგულ ან დაზიანებულ ქონებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში;
7.18.2. ქონების განადგურების, დაზიანების ან სხვა დანაკარგის შემთხვევაში შესაბამისი ქონების აღწერილობა და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის დღის მდგომარეობით.
7.18.3. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის ფაქტი და მიზეზები:
- ✓ ათეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემისას - სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოების დასკვნა;
- ✓ წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის დროს - შესაბამისი კომპეტენტური უწყების დასკვნა;
- ✓ სტიქიური მოვლენებისას - სახელმწიფო მეტეოროლოგიური ორგანოების ცნობა;
- ✓ ზარალის გამომწვევი გარემოებების გამოძიებაში სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობისას ცნობა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებიდან სამართლებრივი ძიების მიმდინარეობის შესახებ.

7.19. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.
7.20. მზღვეველს უფლება ეძლევა მის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხა შეამციროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დარჩენილი გამოუმუშავებელი პრემიის ოდენობით (პოლისით გათვალისწინებული ჯამური პრემიის გადაუხდელი ნაწილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7.21. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის შესაბამისად.
7.22. ნებისმიერ შემთხვევაში, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარ ყველა სადაზღვევო შემთხვევაზე სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.
7.23. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველის თანხმობის შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე აღადგინოს საწყისი სადაზღვევო თანხა.
7.24. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ მოსარგებლეს მიყენებული ზარალი აუნაზღაურდა ამ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება ან ქონების გადაცემა მზღვეველისათვის, ქონების შეკეთება/აღდგენაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით.

7.25. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ქონება დაზღვეულია სხვა კომპანიაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა პროპორციული წილის შესაბამისად.
7.26. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის აღმოთხვრის, ქონების აღდგენის/ჩანაცვლების შემდეგ დამზღვევი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქონების განმეორებითი დაზიანების შემთხვევაში ზარალი არ ანაზღაურდება.
7.27. თუ შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დამთავრებამდე ან საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.
7.28. გამოძიების ან სასამართლო გადაწყვეტილების გამო სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ერთ თვეზე მეტი ვადით დაყოვნების შემთხვევაში, დამზღვევის მოთხოვნის საფუძველზე მზღვეველს უფლება აქვს გადაუხადოს მოსარგებლეს ავანსი სარგებლის თანხის 50%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით ეჭვმიტანილია დამზღვევი, მოსარგებლე და /ან მათი ოჯახის წევრები (ან თანამშრომლები).
7.29. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშწორებით ან სხვა, კანონმდებლობით დაშვებული წესით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. **მზღვეველი უფლებამოსილია:**

8.1.1. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე მოახდინოს დასაზღვევი ქონების დათვალიერება;
8.1.2. მიიღოს მონაწილეობა ზიანის გამომწვევ მიზეზთა დადგენასა და ზიანის შეფასებაში, ასევე მოითხოვოს დამზღვევის/მოსარგებლის ხელშეწყობა, მოითხოვოს დაზიანებული ქონების დათვალიერება;
8.1.3. მოითხოვოს დამოუკიდებელი, მასთან შეთანხმებული ექსპერტიზის ჩატარება საკუთარი ხარჯით, ზიანის ოდენობის გადამოწმების მიზნით;
8.1.4. წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი სრულად;
8.1.5. ამოიღოს ზარალი მესამე მხარისგან (სუბროგაციის უფლება);
8.1.6. მოსთხოვოს "დამზღვევს" გადაიხადოს "სადაზღვევო პრემია" სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ვადებში;
8.1.7. არ აანაზღაუროს ის სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულების დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
8.1.8. უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე „დამზღვევის" ან/და „მოსარგებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
8.1.9. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება თუ დამზღვევი/მოსარგებლე არ შეუწყობს ხელს სადაზღვევო შემთხვევის მოვლენა-შეფასებაში, მათ შორის სტანდარტული გამონაკლისების არსებობის დადასტურება-გამორიცხვაში;
8.1.10. დამზღვევთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
8.1.11. უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანო ახორციელებს შესწავლა-შეფასებას, მოვლენასა თუ გამოძიებას, მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;
8.1.12. დაზღვეული ქონების ღირებულების გაზრდისას, დამზღვევის მოთხოვნით, დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე შეცვალოს დაზღვევის ხელშეკრულება; დამატებითი სადაზღვევო პრემია გამოითვლება სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი ვადის პროპორციულად. დამზღვევის მიერ დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება რისკის გაზრდის მომენტიდან.
8.1.13. აუცილებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
8.1.14. მზღვეველის სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. **მზღვეველი ვალდებულია:**

8.2.1. განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე პირობების შესაბამისად;
8.2.2. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე პირობებით ნაკისრი მოვალეობები.

8.3. **დამზღვევი ვალდებულია:**

8.3.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოს საპატრულო პოლიციას ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს" საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე
8.3.2. სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე მიაწოდოს მზღვეველს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია დასაზღვევი ობიექტის შესახებ. გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება,

რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ქონდეთ რისკის შეფასებისათვის, ასევე, ამ ქონებასთან დაკავშირებული ყველა დადებული ან დასადები ხელშეკრულება.
8.3.3. დაზღვევის მოქმედების განმავლობაში დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ისეთი გარემოებების დადგომის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს რისკის ხარისხზე.
8.3.4. შეატყობინოს მზღვეველს ორმაგი დაზღვევის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა.
8.3.5. უზრუნველყოს მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ დამზღვევს/მოსარგებლეს აუნაზღაურდა მიყენებული ზარალი ამ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
8.3.6. უზრუნველყოს მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ გაირკვა, რომ სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო პირობების მიხედვით არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას, ან/და დამზღვევის/მოსარგებლის ბრალით არ ხერხდება მზღვეველის მიერ რეგრესის უფლების გამოყენება.
8.3.7. მიაწოდოს მზღვეველს აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები მათ შორის სახელმწიფო ორგანოებიდან ან ნებისმიერი სხვა უწყებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;
8.3.8. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია წინამდებარე პირობებით და პოლისით დადგენილი წესითა და ვადებში;
8.3.9. ხელი შეუწყოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში და მზღვეველის მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტაცია;
8.3.10. ნინამდებარე პირობებით განსაზღვრული დამზღვევის ვალდებულებები თანაბარად ვრცელდება მოსარგებლეზე, რომლის მხრიდანაც ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა/დარღვევა გამოიწვევს იგივე შედეგებს რაც გათვალისწინებულია დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

8.4. დამზღვევი უფლებამოსილია:
8.4.1. აღადგინოს შემცირებული სადაზღვევო თანხა, მზღვეველისადმი წერილობითი მიმართვის და დამატებითი სადაზღვევო პრემიის შეტანის საფუძველზე;
8.4.2. მოსთხოვოს მზღვეველს, განახორციელოს სადაზღვევო მომსახურება წინამდებარე პირობების შესაბამისად;
8.4.3. მოსთხოვოს მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

9. სუბროგაციის უფლება

9.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე ავტომატურად გადადის სუბროგაციული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს (დაზღვეულს, მოსარგებლეს) გააჩნია მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.
9.2. დამზღვევი (დაზღვეული, მოსარგებლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი ან/და მის ხელთ არსებული ინფორმაცია, ხელი არ შეუშალოს მზღვეველს ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში და არ მიიღოს ზიანის კომპენსაცია ორივე მხარის, ზიანის მიმყენებელი პირისა და მზღვეველისგან.
9.3. დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის) მიერ წინამდებარე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.
9.4. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი ან მოსარგებლე უარს იტყვის მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ სუბროგაციის მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდება დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით/უმოქმედობით, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო თუ უკვე გადახდილი აქვს - წარმოეშვება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნების მოთხოვნა.

10. ორმაგი დაზღვევა

10.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, „მზღვეველი“ გადაიხდის ზარალს პროპორციულად, „მზღვეველის“ სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად,
10.2.დამზღვევი უფლებამოსილია უარი თქვას ანაზღაურებაზე, თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი აქვს ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისთვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო ანაზღაურება იქნება გაცემული, დამზღვევი ვალდებული იქნება უკან დაუბრუნოს მზღვეველს ანაზღაურებული თანხა მზღვეველის მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორული გარემოებების (ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელია გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების) შემთხვევაში და ასევე მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე;

11.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორ სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ არ განხორციელდება შეტყობინების გაგზავნა, მხარე არ გათავისუფლდება ვალდებულების შეუსრულებლობის პასუხისმგებლობისგან. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და სადაზღვევო ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება მხარე(ებ)ის ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ მხარეები უფლებამოსილები არიან შეწყვიტონ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

11.3. მიუხედავად იმისა შეწყდება თუ არა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო, დამზღვევი ვალდებულია განახორციელოს მზღვეველთან ანგარიშსწორება (გადაიხადოს ფორსმაჟორული მდგომარეობის დადგომამდე წარმოშობილი და ასევე დადგომიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი სადაზღვევო პრემია ან/და ყველა ის გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და ასევე გათვალისწინებულია ხელშეკრულების შეწყვეტისათვის) წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ფორსმაჟორული მდგომარეობის დასრულებისთანავე.

12. დაზღვევის მოქმედების ვადა. დაზღვევის ტერიტორია

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდით.

12.2. დაზღვევის მოქმედების ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით და განისაზღვრება პოლისით.

12.3. დაზღვევის მოქმედების ვადა იწყება პოლისში განსაზღვრული დაზღვევის პერიოდის დასაწყისად განსაზღვრული დღის 00:00 საათზე და მოქმედებს პოლისში განსაზღვრული დაზღვევის პერიოდის დასასრულად განსაზღვრული დღის 24:00 საათზე. ამასთანავე დაზღვევა ძალაში შედის დამზღვევის მიერ ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის ან განვადების შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილის გადახდის შემდეგ.

12.4. დაზღვევა ძალაშია მხოლოდ პოლისში მითითებულ მისამართზე, პოლისით განსაზღვრულ დაზღვევის პერიოდში. დაზღვევა არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ტოვებს დაზღვევის მოქმედების არეალს, თუ კონკრეტული ხელშეკრულებით/პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. დაზღვევის შეწყვეტა/ხელშეკრულებაზე უარი/სამართლებრივი შედეგები

13.1. დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

13.1.1. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმება;

13.1.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის ოფიციალური წერილის გაგზავნით;

13.1.3. მზღვეველის ინიციატივით ნებისმიერ დროს 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, დამზღვევის წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე;

13.1.4. თუ ამოიწურა სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ კონკრეტულდაზღვევის დაფარვასთან მიმართებით);საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

13.2. 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა კონკრეტული დაზღვევის (პოლისის) მოქმედება პოლისში მითითებულ ვადაზე ადრე შესაძლოა შეწყდეს:

13.2.1. თუ დაზღვევის ობიექტი აღარ არსებობს;

13.2.2. თუ ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ დაზღვევის დაფარვასთან მიმართებით);

13.2.3. სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლით;

13.2.4. დაზღვევის ობიექტის გასხვისებისას (ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ, თუ სხვაგვარად არ შეთანხმდა მზღვეველთან

13.2.5. დაზღვევის (პოლისის) მოქმედების შეწყვეტისას:

13.2.5.1. თუ დაზღვევის პერიოდში არ არის დამდგარი არცერთი სადაზღვევო შემთხვევა, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული სადაზღვევო პრემია სრულად და ასევე გადაიხადოს გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის ოდენობის 10%, გარდა იმ შემთხვევისა თუ დაზღვევის შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი (გარდა იმ შემთხვევისა თუ შეწყვეტა განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით/შეუსრულებლობით);

13.2.5.2. თუ დაზღვევის პერიოდში დამდგარი არის თუნდაც ერთი სადაზღვევო შემთხვევა, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია სრულად (როგორც გამომუშავებული, ასევე გამოუმუშავებელი) გარდა იმ შემთხვევისა თუ დაზღვევის შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი;

13.2.5.3. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება მზღვეველის ინიციატივით (გარდა იმ შემთხვევისა თუ შეწყვეტა განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით), ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ გამომუშავებული სადაზღვევო პრემია სრულად;

13.2.5.4. თუ დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა ხორციელდება მზღვეველის ინიციატივით, რაც განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო, ასეთ შემთხვევაში დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა განისაზღვრება 13.2.5.1-13.2.5.2. პუნქტების მიხედვით.

13.3. ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში დამზღვევს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ჯარიმისა და საურავის დაკისრების გარეშე, რა შემთხვევაშიც მხარეებს დაუბრუნდებათ ამავე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სარგებელი (სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო ანაზღაურება).

13.4. 13.3. პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) თუკი ხელშეკრულების მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

14. პრეტენზიების განხილვა

14.1. დამზღვევის მხრიდან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.alpha.ge განთავსებული „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვისა და რეგულირების პროცედურის“ შესაბამისად. პრეტენზია წარედგინება მზღვეველის ხარისხის მართვისა და მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

14.2. წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით, ან სხვა არასტანდარტული განცხადების ფორმით, მზღვეველის მისამართზე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N16. მზღვეველის მიერ პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

14.3. წერილობითი (ელექტრონული) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - ask@alpha.ge. მზღვეველის მიერ პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

14.4. სატელეფონო ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება შესაძლებელია დაფიქსირდეს მზღვეველის შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +995 322 640 640; მზღვეველის მიერ პასუხის გაცემა ხორციელდება დაუყოვნებლივ, შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო თუ საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, განხილვისა და პასუხის მიწოდების მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

14.5. წინამდებარე მუხლის 14.1 პუნქტით გათვალისწინებული პასუხები ბრუნდება იმავე საკომუნიკაციო არხით, რითაც მოხდა დამზღვევის მიერ უკმაყოფილების/განცხადების დაფიქსირება თუ წინასწარ მხარეები არ შეთანხმდებიან განსხვავებული საკომუნიკაციო არხზე;

დამზღვევი ასევე უფლებამოსილია, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: +995 32 223 44 10;

პასუხი ბრუნდება იმავე საკომუნიკაციო არხით, რითაც მოხდა დამზღვევის მიერ უკმაყოფილების/განცხადების დაფიქსირება თუ წინასწარ მხარეები არ შეთანხმდებიან განსხვავებულ საკომუნიკაციო არხზე;

15. მოქმედი კანონმდებლობა და დავების გადაჭრა

15.1.წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსეშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან;

15.2.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

15.3.„მხარეები“ თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მზღვეველის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;

16. კონფიდენციალობა

16.1. მხარეები ვალდებულნი არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეთანხმების გარეშე არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი;

16.2. კონფიდენციალურობის დაცვა გულისხმობს მხარის ვალდებულებას, რომ მისთვის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცნობილი/გადაცემული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ გახდება ცნობილი და ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის (მათ შორის მასთან ნებისმიერი საფუძვლით/ფორმით დაკავშირებული პირებისათვის), გარდა იმ შემთვევებისა, როდესაც აღნიშნული შეთანხმებულია მეორე მხარესთან, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება, როგორც ამ ხელშეკრულების მხარეებზე, ასევე, მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებზე, თანამშრომლებზე და დაკავშირებულ პირებზე. კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია განახორციელოს საჭირო ღონისძიებები მსგავსი ფაქტების აღკვეთისათვის და აანაზღაუროს მიყენებული ზიანი სრულად.

17. პერსონალური მონაცემების დამუშავება და პირთა იდენტიფიცირება

17.1. მზღვეველი დამზღვევის, დაზღვეულებისა და მოსარგებლეების დამატებითი თანხმობის გარეშე დაამუშავებს დამზღვევის/მოსარგებლის/დაზღვეულის პერსონალურ მონაცემებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა და პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის და აღნიშნულთან დაკავშირებით დამზღვევი ადასტურებს, რომ მიღებული აქვს/მოიპოვებს დაზღვეულებისაგან/დამზღვევისაგან/მოსარგებლისაგან წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობა, რაც ცალსახად გულისხმობს დამზღვევის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაზე თუ მზღვეველს მიადგება ზიანი ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის;

17.2. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. მოიპოვოს დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის (ანდა დაზღვევის პირობების შესაბამისად ნებისმიერი შესაბამისი პირის) შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება კავშირი ჰქონდეს წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებთან, სადაზღვევო შემთხვევასთან ან/და ზიანის ოდენობასთან, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან/ორგანიზაციიდან;

17.3. დამზღვევი პასუხისმგებელია მის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული ინფორმაციის კანონიერებაზე, მათ შორის მესამე პირის პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების) მიწოდებაზე. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ ყველანაირ თანხმობას რაც დაკავშირებული იქნება მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის მოიპოვებს დამზღვევი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მზღვეველს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი (მათ შორის შესაბამისი ორგანოს მიერ ჯარიმა) ამ ზიანს/ზარალს სრულად აანაზღაურებს დამზღვევი მზღვეველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

17.4. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის (მათ შორის თუ ნებისმიერ მესამე პირს რამე პრეტენზია ექნება მზღვეველის მიმართ) გამო მზღვეველს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი (მათ შორის შესაბამისი ორგანოს მიერ ჯარიმა) ამ ზიანს/ზარალს სრულად აანაზღაურებს დამზღვევი მზღვეველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

18. მხარეთა პასუხისმგებლობა

18.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

18.2. თითოეული "მხარე" ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

18.3. მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული ინფორმაცია(დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს დამზღვევის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება და მზღვეველს უფლება წარმოეშვება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.

18.4.იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი დაარღვევს მზღვეველის წინაშე ნაკისრი ნებისმიერ/რაიმე ვალდებულებას „მზღვეველი" უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებაზე გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამზღვევს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან და ასევე ძირითადი ვალდებულების შესრულება არ ათავისუფლებს მას დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან;

19. დამატებითი პირობები - <u>სიფრთხილის ზომები დაზღვეულ ქონებასთან მიმართებაში</u>

19.1. დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მზღვეველს:

ა) თუ დამზღვევი დაზღვეულ ქონებას გადაცემს სხვა პირს იჯარით, ქირით ან გირაოთი;

ბ) თუ ქონებაზე უფლება გადადის სხვა პირზე;

დ) თუ დაზღვეული ქონება მნიშვნელოვნად დაზიანდა, განადგურდა ან ხდება რეკონსტრუქცია;

ე) თუ უმეთვალყურეოდ ტოვებს;

ვ) თუ იცვლება განაცხადში მითითებული ინფორმაცია;

19.2. დამზღვევი ვალდებულია გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს ის შენობა, რომელშიც განლაგებულია დაზღვეული ქონება (შენობა არ უნდა იყოს ავარიულ მდგომარეობაში, სახურავი არ უნდა იყოს დაზიანებული და არ უნდა ხდებოდეს წყლის გაჟონვა);

19.3. დამზღვევი ვალდებულია შეინარჩუნოს დაზღვეული ქონების უსაფრთხოება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენობა, რომელშიც მდებარეობს დაზღვეული ქონება რჩება უმეთვალყურეოდ, შენობის კარებები, ფანჯრები ან სხვა ტიპის შესასვლელები/გამოსასვლელები, სათავსოები უნდა იყოს სათანადოდ დახურული;

19.4. მარაგების დაზღვევისას, დამზღვევი ვალდებულია დაიცვას დასაწყობების წესები. განალაგოს დაზღვეული მარაგები მიწის დონიდან არაუმცირეს 12 სანტიმეტრის სიმაღლეზე და კედლიდან არაუმცირეს 30 სანტიმეტრ მანძილზე.

20. <u>დასკვნითი დებულებები</u>

20.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია განხორციელდეს „მხარეთა" მიერ დამატებით შეთანხმებაზე მატერიალური ხელმოწერით ან/და ორმხრივი ელექტრონული ხელმოწერით signify-ს გამოყენებით.

20.2. მხარეთა შეთანხმებით, signify-s ელექტრონული პლატფორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი კატეგორიის დოკუმენტის ხელმოწერის მიზნებისთვის.

20.3. ნებისმიერი დოკუმენტი (დანართი), რომელიც თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს და ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ, ჩაითვლება ამ პირობების განუყოფელ ნაწილად.

20.4. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინების მიწოდება ხდება წერილობით. მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისათვის მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ მხარის მიერ მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს მხარის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება და მეორე მხარეს უფლება წარმოეშვება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.

20.5. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი დაზღვევის ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

20.6. ამ პირობების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო, ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი. მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.